



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

თვის მიმოხილვა

2022

ინფლაცია	3
საბანკო სექტორი	5
საგარეო სექტორი	7
სავალუტო ბაზარი	11
ფულადი ბაზარი	14
მონეტარული აგრეგატები	15


“თვის მიმოხილვა“
მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის
მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ

ინფლაცია

2022 წლის ივნისში წლიურმა ინფლაციამ 12.8% შეადგინა, ხოლო მაისთან შედარებით სამომხმარებლო ფასებმა 0.2%-ით მოიმატა.


რუსეთის მიერ უკრაინაში წამოწყებული ომის გამო საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე ფასებმა მკვეთრად მოიმატა. აგრესიის საპასუხოდ რუსეთისთვის დაწესებულმა სანქციებმა და მიწოდების შეფერხებამ, ასევე ომის გამო უკრაინიდან ექსპორტის მკვეთრმა შეზღუდვამ, მსოფლიო ბაზრებზე საკვები პროდუქტები, სხვადასხვა ნედლეული და ენერგორესურსები მნიშვნელოვნად გააძვირა. კერძოდ, ნავთობის, ხორბლის, შაქრის, მცენარეული ზეთისა და სხვა საკვები პროდუქტების ფასები მკვეთრად გაიზარდა. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მონაცემების თანახმად, სურსათის ფასები მსოფლიო მასშტაბით ბოლო თვეებში ისტორიულ მაქსიმუმზეა. საერთაშორისო ბაზრებზე გაზრდილი ფასები საქართველოსაც გადმოეცემა და ინფლაცია მიზნობრივზე მაღალ დონეზე წარჩუნდება.

წლიური ინფლაცია 12.8% (წვლილი)



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

თვის ინფლაცია 0.2% (წვლილი)




წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

ინფლაციაში წლიურ ინფლაციაზე უდიდესი გავლენა კვლავ სურსათის ჯგუფს ჰქონდა (6.3 პპ), საიდანაც პურზე (36%), კარტოფილზე (47%) და ყველზე (25%) ფასების მატება გამოირჩეოდა და ამ პროდუქტების წვლილი წლიურ ინფლაციაში, შესაბამისად, 1.2 პპ, 0.6 პპ და 0.5 პპ იყო. საერთაშორისო ბაზრებზე ნავთობის ფასები მაღალ დონეზე წარჩუნდება, რაც ადგილობრივი საწვავის ფასებზე აისახება და მისი წვლილი წლიურ ინფლაციაში 1.6 პპ-ია.

ინფლაციაში წინა თვესთან შედარებით სამომხმარებლო ფასები 0.2%-ით გაიზარდა. მაისთან შედარებით სამომხმარებლო კალათიდან ყველაზე გამოსარჩევი კარტოფილის 21%-ით გაძვირება (თვის ინფლაციაზე გავლენა 0.3 პროცენტული პუნქტი (პპ)) და პომიდორის სეზონური ფაქტორების გამო 45%-ით გაიძვირა (-0.3 პპ) იყო.


საბაზო ინფლაცია, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან მაღალი მერყეობით გამორჩეულ სურსათის, ენერგომადარებლების და თამბაქოს ფასებს გამოირიცხავს მთლიან ინფლაციასთან შედარებით დაბალია და 6.6% შეადგენს. ხოლო მომსახურების ინფლაცია, რომელიც მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე ყველაზე ნაკლებად არის დამოკიდებული 8.9%-ია. ბოლო თვეებში (მაის-ინფლაციაში) მომსახურების ინფლაციის მატება რუსეთიდან, ბელარუსიდან და უკრაინიდან გაზრდილი ხანგრძლივადიანი ვიზიტების ზრდას უკავშირდება, რამაც ადგილობრივ ბაზარზე ბინის ქირა მკვეთრად და მყისიერად გააძვირა (ბინის ქირის წლიური ფასის ზრდა - 26%) და წლიურ ინფლაციაში 0.5 პპ წვლილი შეიტანა.

მთლიანი, საბაზო და მომსახურების ინფლაცია




წყარო: საქსტატი

ჯგუფების წვლილი მთლიან ინფლაციაში



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

გასული წლის დასაწყისიდან მსოფლიო სასაქონლო ბაზრებზე ფასების მატების და კრანსპორტირების ხარჯების გაძვირების გამო, იმპორტირებული ინფლაცია მკვეთრად გაიზარდა. ბოლო თვეებში იმპორტირებულმა ინფლაციამ მოიკლო და ივნისში 12.5% შეადგინა. ამავე დროს, ადგილობრივი წარმოების საქონლის ფასებმა ზრდა დაიწყო და ივნისში წლიურად 13.1%-მდე გაიზარდა. ეს გარკვეულწილად მსოფლიო ბაზრებზე იმ ნედლეულის ზრდას უკავშირდება, რომელიც ადგილობრივი პროდუქტების დასამზადებლად გამოიყენება. მაგალითად, ბოლო თვეებში პურისა და პურპროდუქტების ფასების ზრდა სასაქონლო ბაზრებზე ხორბლის ფასის მკვეთრ ზრდას უკავშირდება. ამავდროულად, ადგილობრივი ინფლაციის მატებაში მნიშვნელოვანი წვლილი უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობის მკვეთრი მატების გამო ბინის ქირის გაძვირებამაც შეიტანა.



ინფლაცია დეტალურად


	2022 წლის წონებში	ივნ22/მაი22		ივნ22/ივნ21	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
სულ	100.0%	0.2%	0.2%	12.8%	12.8%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	32.2%	0.1%	0.0%	21.8%	6.9%
სურსათი	28.9%	0.0%	0.0%	21.9%	6.3%
პური და პურპროდუქტები	5.6%	1.0%	0.1%	35.0%	1.9%
ხორცი და ხორცპროდუქტები	6.8%	0.7%	0.0%	11.3%	0.8%
თევზი	0.5%	0.7%	0.0%	17.9%	0.1%
რძე, ყველი და კვერცხი	6.3%	-0.1%	0.0%	19.5%	1.1%
ზეთი და ცხიმი	1.9%	0.9%	0.0%	14.9%	0.4%
ხილი, ყურძენი	1.6%	2.2%	0.0%	31.8%	0.6%
ბოსტნეული, ბალჩეული, კარტოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით	3.3%	-4.2%	-0.2%	33.4%	1.1%
შაქარი, ჯემი, თაფლი, სიროფები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.3%	0.1%	0.0%	16.0%	0.3%
კვების სხვა პროდუქტები	0.6%	0.5%	0.0%	10.7%	0.1%
უალკოჰოლო სასმელები	3.3%	0.7%	0.0%	22.3%	0.6%
ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო	6.4%	0.7%	0.0%	7.9%	0.5%
ცანსაცმელი და ფეხსაცმელი	3.8%	-0.2%	0.0%	-0.6%	0.0%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	9.0%	0.0%	0.0%	13.0%	1.2%
ავტო, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	5.3%	-0.1%	0.0%	8.7%	0.5%
ჯანმრთელობის დაცვა	7.8%	-0.4%	0.0%	1.1%	0.1%
ტრანსპორტი	13.0%	0.0%	0.0%	19.4%	2.3%
კავშირგაბმულობა	3.6%	-0.3%	0.0%	1.2%	0.0%
დასვენება, გართობა და კულტურა	3.7%	1.1%	0.0%	1.8%	0.1%
განათლება	4.6%	0.0%	0.0%	3.5%	0.2%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	5.4%	2.3%	0.1%	14.0%	0.6%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	5.3%	0.0%	0.0%	16.3%	9.8%
ხანმოკლე მოხმარების საქონელი	58.1%	0.0%	0.0%	5.2%	0.4%
საშუალო მოხმარების საქონელი	7.3%	-1.0%	0.0%	0.5%	0.0%
ხანგრძლივი მოხმარების საქონელი	4.5%	0.8%	0.2%	8.9%	2.4%
მომსახურება	30.1%	0.8%	0.2%	6.5%	1.8%

წყარო: საქსტატი

საბანკო სექტორი


2022 წლის მაისში, საბანკო სექტორის სადეპოზიციო ვალდებულებები წლიურად 2.04 მლრდ ლარით (თვიურად 145.5 მლნ ლარით) გაიზარდა და 37.4 მლრდ ლარი შეადგინა. ეროვნული ვალუტის დეპოზიტების მატების გავლენით, სადეპოზიციო ვალდებულებები წლიურად 5.8%-ით გაიზარდა. კერძოდ, მაისში წინა თვესთან შედარებით, ლარის სადეპოზიციო ვალდებულებები 689.4 მლნ ლარით (4.6%-ით) გაიზარდა და 15.8 მლრდ ლარი შეადგინა. აღნიშნული ზრდა, როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირების დეპოზიტების მატებამ განაპირობა. ამავდროულად, საბანკო სისტემის დეპოზიტებს სამთავრობო სექტორის დეპოზიტებიც ზრდიდა. რაც შეეხება უცხოური ვალუტის დეპოზიტებს, შემცირდა როგორც ფიზიკური პირების, ასევე იურიდიული პირების დეპოზიტების მოცულობა, რაც მეცნილად გაცვლითი კურსის გამყარების ასახვაა.

სადეპოზიციო ვალდებულებები




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სადეპოზიციო ვალდებულებები




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მიმდინარე წლის მაისში დეპოზიტების საშუალო შეწონილი (მთავრობის გარეშე) საპროცენტო განაკვეთები წინა თვესთან შედარებით 0.2 პპ-ით შემცირდა და 5.3% შეადგინა. ეროვნული ვალუტით დეპოზიტებზე საშუალო შეწონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით შემცირდა და 8.0% შეადგინა, ხოლო უცხოური ვალუტით გაცემულ დეპოზიტებზე - 0.1 პპ-ით, 0.8%-მდე გაიზარდა. აღსანიშნავია, რეზიდენტების ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთების ზრდა, რაც მეცნილად ლარის ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთის მატებამ განაპირობა. კერძოდ, ლარის დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთმა წინა თვესთან შედარებით 0.4 პპ-ით მოიმადა და 12% შეადგინა, ხოლო ევროსა და დოლარის ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები შესაბამისად 0.2 და 0.3 პპ-ით, 1% და 1.2%-მდე გაიზარდა.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

უცხოური და ეროვნული ვალუტის დეპოზიტების ზრდის ცემპებიდან გამომდინარე, დეპოზიტების დოლარიზაცია, 2022 წლის მაისში 1.7 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 57.9%-ს შეადგენს. მაისის ბოლოს, იურიდიული და ფიზიკური პირების დეპოზიტების დოლარიზაცია, შესაბამისად, 45.4%-ს და 72.5%-ს შეადგენდა.

ფიზიკური პირების დეპოზიტები 72.5%
 მთლიანი დეპოზიტები 57.9%
 იურიდიული პირების დეპოზიტები 45.4%

Year	Percentage (%)
2015	83.2
2016	83.5
2017	83.8
2018	83.5
2019	83.2
2020	83.0
2021	82.8
2022	69.5

Year	Multi-story apartment buildings (%)	Single-story houses (%)
2016	9.9	8.1
2017	10.5	7.5
2018	11.2	6.8
2019	12.0	6.0
2020	12.8	5.2
2021	13.5	4.5
2022	18.1	18.1

მთლიანი
სესხები,
18.1%

მცირე და
საშუალო
ბიზნესი, 2.8%

ბიზნეს სესხი,
6.8%

იპოთეკა, 3.1%

სამომხმარებლო,
5.1%

ნოვ-16
თებ-17
მაი-17
აპრ-17
ნოვ-17
თებ-18
მაი-18
აპრ-18
ნოვ-18
თებ-19
მაი-19
აპრ-19
ნოვ-19
თებ-20
მაი-20
აპრ-20
ნოვ-20
თებ-21
მაი-21
აპრ-21
ნოვ-21
თებ-22
მაი-22

Year	ეროვნული ვალუტით (%)	უცხოური ვალუტით (%)
აბ-10	18.1	16.0
ოქტ-10	16.5	15.0
ივნ-11	16.0	14.0
აპრ-12	15.0	13.0
ნოვ-13	14.0	12.0
ივნ-14	13.0	11.0
ოქტ-15	12.0	10.0
ივნ-16	14.5	10.0
ოქტ-17	11.5	8.5
ივნ-18	11.0	8.0
ნოვ-19	10.5	7.0
ივნ-20	12.0	7.0
ნოვ-21	13.0	6.5
აბ-22	13.8	7.0


თვე-წელი	ეროვნული ვალუტი (Georgia)	უცხოური ვალუტი (Ukraine)
იან-10	16.5%	15.5%
ოქტ-10	15.5%	15.5%
ივლ-11	14.5%	14.5%
აპრ-12	14.5%	13.5%
იან-13	16.0%	12.5%
ოქტ-13	10.5%	11.5%
ივლ-14	10.5%	10.0%
აპრ-15	10.5%	9.5%
იან-16	17.5%	8.5%
ოქტ-16	10.5%	7.5%
ივლ-17	12.5%	7.5%
აპრ-18	12.5%	6.5%
იან-19	8.5%	6.5%
ოქტ-19	11.5%	4.5%
ივლ-20	11.0%	6.0%
აპრ-21	12.0%	4.5%
იან-22	12.5%	5.9%

თვის მიმოხილვა, ივლისი 2022

იურიდიულ პირებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთები მზარდია და მიმდინარე წლის მაისში 13.8% შეადგინა. გაზრდილ დონეზე წარჩუნდება იპოთეკურ სესხებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთიც, რომელმაც მაისში 12.5% შეადგინა. წამყვანი ცენტრალური ბანკების მიერ მონეცარული პოლიტიკის განაკვეთების ზრდასთან ერთად ადგილობრივ ბაზარზე უცხოური ვალუტით გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთებმა მოიმადა. კერძოდ, უცხოური ვალუტით გაცემულ სესხებზე, წინა თვესთან შედარებით, იურიდიული პირების სესხების საპროცენტო განაკვეთები 0.4 პპ-ით 7.0%-მდე, ხოლო იპოთეკური სესხების - 0.3 პპ-ით 5.9%-მდე გაიზარდა.


მთლიანი საკრედიტო პორტფელის დოლარიზაცია შემცირებას განაგრძობს. გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, მისი დონე წლიურად 0.9 პპ-ით შემცირდა და 48.7%-ს გაუცოლდა. მაისში, ვადაგადაცილებული სესხები წინა თვესთან შედარებით 38.7 მლნ ლარით შემცირდა და 519.1 მლნ ლარს გაუცოლდა. მათი წილი კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელში 1.2% იყო. ვადაგადაცილებული სესხების 37.1% ეროვნული ვალუტით არის დენომინირებული.

დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ვადაგადაცილებული დავალიანება




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საგარეო სექტორი


2022 წლის მაისში საქონლის რეგისტრირებული საგარეო ვაჭრობის დეფიციტი წინა წელთან შედარებით 38.3%-ით გაიზარდა და 594.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. დეფიციტის ზრდა ძირითადად საქონლის იმპორტის ზრდას უკავშირდება. აღნიშნულ თვეში, საქონლის იმპორტი 45.4%-ით, 1,119.4 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა, ხოლო ექსპორტი წლიურად 54.3%-ით გაიზარდა და 524.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

საქონლის ექსპორტ-იმპორტისა და საგარეო ბალანსის დინამიკა



წყარო: საქსტატი



საგარეო ბალანსი ქვეყნების მიხედვით (მაისი, 2022)



წყარო: საქსტატი

იმპორტი - 2022 წლის მაისში საქონლის იმპორტის ზრდა უმეტესად სამომხმარებლო და შუალედური საქონლის მატებამ განაპირობა. კერძოდ, სამომხმარებლო საქონლის ზრდა მეტწილად ნავთობის შესყიდვების ზრდას უკავშირდება, რაც ბოლო პერიოდში მკვეთრად მომადებული ნავთობის ფასების ასახვაა. შუალედური საქონლის იმპორტის ზრდაში მალალი წვლილი (20 პპ) რეექსპორტისთვის განკუთვნილ სპილენძის მადნებსა და კონცენტრატებს უჭირავს. საქონლის იმპორტი წინა წელთან შედარებით რეალურად 14.1%-ით გაიზარდა.

საქონლის იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წლილი ზრდაში) **საქონლის რეალური იმპორტი (წლიური ცვლილება)**




ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან იმპორტის ზრდაში მაღალი წვლილით გამოირჩეოდა რუსეთი, რაც, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების შემოტანას უკავშირდება. ხოლო თურქეთიდან იმპორტის ზრდა მსუბუქი ავტომობილებისა და სიგარები/სიგარეტების გაზრდილმა შესყიდვებმა გამოიწვია. სომხეთიდან იმპორტის მატება კვლავ სპილენძის, ასევე ძვირფასი ლითონების მადნებისა და კონცენტრატების, ხოლო აზერბაიჯანიდან ნავთობპროდუქტების შემოტანამ განაპირობა. დანარჩენი ქვეყნებიდან, კერძოდ, ჩინეთიდან - ჰაერის კონდენსირების მოწყობილობებისა და საცელეფონო აპარატების, მონიტორგოდან - სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, ირანიდან - სიგარები/სიგარეტების იმპორტი გაიზარდა. ამის საპირისპიროდ, იმპორტის შემცირება უკრაინიდან - სიგარეტები/სიგარეტებისა და ნახშირბადიანი ფოლადის წნელების, იაპონიიდან - მსუბუქი ავტომობილების შემოტანის კლებით არის გამოწვეული. მაისში 7 ძირითად სავაჭრო პარტნიორზე მთლიანი იმპორტის 61% მოდიოდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით იმპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

მაისში იმპორტირებულ საქონელში, წამყვანი წილი ნავთობს, სპილენძის მადნებსა და კონცენტრატებს და მსუბუქ ავტომობილებს (30%) ეჭირა. აღსანიშნავია, რომ მაისში იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით წინა წლის მაისთან შედარებით უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

საქონლის იმპორტი პროდუქციის კატეგორიების მიხედვით (მაისი, 2022, მლნ აშშ დოლარი)

ქვეყნების წილი საქონლის იმპორტში - მაისი, 2022


საქონლის კატეგორია	საქონლის მატარებელი	საქონლის მატარებლის სახეობები	
		საქონლის მატარებლის სახეობები	საქონლის მატარებლის სახეობები
სპილენძის მადნები და კონცენტრატები, 106	საქონლის მატარებლის სახეობები	სამკურნალო საშუალებები, 33	გამომოვლელი მანქანები და მათი ბლოკები, 24
		საფლავი აპარატები, 21	ნავთობის აირები, 16
ნავთობი და ნავთობპროდუქტები, 124	მსუბუქი ავტომობილები, 103	ფოლადის წნელები, 12	სიგარეტები, სიგარეტები, 12
		ფოლადის ბრტყელი ნაგებობები, 11	



ექსპორტი - 2022 წლის მაისში საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი წლიურად 54.3%-ით გაიზარდა. საქონლის ექსპორტის ზრდა მეტწილად შუალედური საქონლის ექსპორტის ზრდამ განაპირობა, რაც უმეტესად ფეროშენადნობებისა და სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების გაზრდილ გაყიდვებს უკავშირდება. საქონლის ექსპორტის ასეთი მაღალი ზრდა ძირითადად საქსპორტო საქონელზე გაზრდილი ფასების ასახვა და რეალურად მისი მოცულობა 16.4%-ით გაიზარდა.


რეგიონის ქვეყნებიდან საქსპორტო შემოსავლების ზრდაში მაღალი წვლილი შეიტანა თურქეთში ექსპორტის მატებამ, რაც ელექტროენერგიისა და ფოლადის ნახევარფაბრიკატების გაყიდვებს უკავშირდება. რეგიონის სხვა ქვეყნებიდან ყაზახეთში - მსუბუქი ავტომობილებისა და პოლიაცეტილების, სომხეთში - მსუბუქი და სამშენებლო ავტომობილების, აზერბაიჯანში - მსუბუქი ავტომობილების ექსპორტი გაიზარდა. დანარჩენი ქვეყნებიდან აღსანიშნავია აშშ-ში ფეროშენადნობების, ბუღარეთსა და ჩინეთში სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, პერუში - მინერალური/ქიმიური სასუქების ექსპორტის ზრდა. ამის საპირისპიროდ, უკრაინაში სპილენძის ჯართის, შავი ლითონების მიღებისა და სპირტიანი სასმელების, ხოლო ბრაზილიაში მინერალური/ქიმიური სასუქების ექსპორტი მნიშვნელოვნად შემცირდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით ექსპორტი უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.

საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)



წყარო: საქსტატი

საქონლის რეალური ექსპორტი (წლიური ზრდა)



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშება


მაისში საქონლის ექსპორტის დიდი წილი სპილენძის მადნებს, ფეროშენადნობებსა და მსუბუქ ავტომობილებს ეჭირა (48% წილი მთლიან ექსპორტში). ექსპორტის ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი ფეროშენადნობების ექსპორტმა შეიტანა, რომელიც წლიურად 2.7-ჯერ გაიზარდა. ექსპორტის მოცულობაზე ელექტროენერგიაზე, სასუქებსა და თხილი/კაკალზე საგარეო მოთხოვნის მატება (ჯამურად 11.6 პპ წვლილი მთლიანი ექსპორტის ზრდაში) დადებითად აისახა. ამის საპირისპიროდ, მინერალური/მცენარი წყლებისა და სპირტიანი სასმელების ექსპორტი შემცირებულია. წინა წელთან შედარებით სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (მაისი 2022, მლნ აშშ დოლარი)

სპილენძის მადნები და კონცენტრატები		ფეროშენადნობები		სასუქები		ლვინოები		საქონლის ექსპორტი		საინვესტიციო		შუალედური		სამომხმარებლო	
103		90		24		19		59		11		9		7	
მსუბუქ ავტომობილები, 59		ელექტროენერგია, 26		სპირტიანი სასმელები, 11		ფოლადის ნახევარფაბრიკატები, 10		საქონლის ექსპორტი, 54.3%		საინვესტიციო, 0.9%		შუალედური, 45.5%		სამომხმარებლო, 7.9%	

წყარო: საქსტატი

მყვანების წილი საქონლის ექსპორტში (მაისი, 2022)




წყარო: საქსტატი

ფულადი გზავნილები - 2022 წლის მაისში საქართველოში გადმორიცხული თანხების მოცულობა წინა წელთან შედარებით 169.5%-ით გაიზარდა და 505.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო საქართველოდან გადარიცხული თანხების მოცულობა 25.4%-ით 28.7 მლნ აშშ დოლარამდე შემცირდა.


რუსეთიდან ფულადი გადმორიცხვები მაისში რეკორდულად მაღალი იყო (314 მლნ აშშ დოლარი), რაც წინა წელთან შედარებით 10-ჯერ მაღალი აღმოჩნდა. აღნიშნულ თვეში, რეგიონის ქვეყნებიდან ზრდის მაღალი ტემპით ყაზახეთიდან (586.6%) და ყირგიზეთიდან (371.5%) გადმორიცხული ფულადი სახსრები გამოირჩეოდა, რომელთა წვლილები მთლიანი გზავნილების ცვლილებაში, შესაბამისად, 9.5 და 2.4 პპ-ით აისახა. რაც შეეხება ქვეყნების მიხედვით განაწილებას, ფულადი გზავნილების ძირითად წყაროს მაისში რუსეთი (62.0%), ევროკავშირის ქვეყნები (18.6%) და აშშ (5.4%) წარმოადგენდა. ევროკავშირის ქვეყნებიდან აღსანიშნავია იტალიის, საბერძნეთისა და გერმანიის მაღალი წილი მთლიან ფულად გზავნილებში.

ქვეყნების წილი სწრაფ ფულად გზავნილებში (მაისი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ფულადი გზავნილების ზრდა (წლილი ზრდაში ქვეყნების მიხედვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ცურიზში - 2022 წლის მაისში საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა წინა წელთან შედარებით 205.3%-ით გაიზარდა. ცურისცების რაოდენობამ მთლიანი ვიზიტორების 82.7% შეადგინა და წლიურად 173.9%-ით მოიმატა. აღნიშნულ თვეში, ერთდღიანი ვიზიტების რაოდენობა საგრძნობლად (7-ჯერ) გაიზარდა. მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლები ზრდას განაგრძობს და მაისში წლიურად 250.4%-ით გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლები ეცაპობრივად კრიზისამდელ დონეს დაუბრუნდა და 2019 წლის მაისის 96% შედგინა. მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლების ზრდა ძირითადად რუსეთიდან (50.0 კპ), ბელარუსიდან (35.6 კპ) და თურქეთიდან (24.3 კპ) შემოსავლების ზრდას უკავშირდება.

ვიზიტორთა ტიპები



წყარო: საქართველოს ცურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლები




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ცურიზმის ქვეყნის ეკონომიკაზე დიდი გავლენიდან გამომდინარე, უცხოელი ვიზიტორების სტადისტიკის დახვეწა და ანალიზზე მუდმივი ზრუნვა მნიშვნელოვანია. ამ მიზნით ეროვნულმა ბანკმა შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული საზღვრის კვების მონაცემების საფუძველზე უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ყოველდღიური სტადისტიკის წარმოება დაიწყო. ამ სტადისტიკით შესაძლებელია მაღალი სიზუსტით, ყოველდღიურად, საქართველოს ფარგლებში, მსოფლიოს თითოეული ქვეყნის მოქალაქეთა რაოდენობის ცოდნა.

ეს სტადისტიკა მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლების უფრო ზუსტ გამოთვლაში ხელს შეგვინცობს და საქართველოს ეკონომიკაზე მათი გავლენის უკეთ შეფასების საშუალებას მოგვცემს.

უცხო ქვეყნის მოქალაქეთა რაოდენობა საქართველოში





წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; ; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

სავალუტო ბაზარი

2022 წლის მაისში, წინა თვესთან შედარებით, ლარის საშუალო გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 3.0663-დან 2.9702-მდე (3.1%-ით), ხოლო ევროს მიმართ საშუალოდ 3.3318-დან 3.1403-მდე (5.7%-ით) გამყარდა. თვის ბოლოს კი ლარის ოფიციალურმა გაცვლითმა კურსმა აშშ დოლარისა და ევროს მიმართ 2.9546 და 3.1833 შეადგინა. მაისში ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის მაქსიმალურმა მნიშვნელობამ - 3.0591, ხოლო მინიმალურმა 2.8598 შეადგინა.

ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარისა და ევროს მიმართ

ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის ყოველთვიური მერყეობის დიაგრამა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მაისში გაცვლითი კურსის მაქსიმალური და მინიმალური მნიშვნელობები საშუალო დონიდან ორივე მიმართულებით თითქმის თანაბრად იყო გადახრილი.


დოლართან მიმართებაში რუსული რუბლი კვლავ გამყარების ტენდენციას ინარჩუნებს, ხოლო ევრო გაუფასურებას განაგრძობს.

თვის განმავლობაში საშუალო კურსიდან გადახრა (ლარი/დოლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ძირითადი სავაჭრო პარტნიორების საშუალო თვიური გაცვლითი კურსების¹ ცვლილება დოლართან მიმართებაში. 2022 წლის მაისი (ზრდა=გაუფასურება)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები გამყარებას განაგრძობს. წინა თვესთან შედარებით მაისში ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი - 2.1%-ით, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 2.2%-ით გამყარდა. წლიურად, ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი - 21.6%-ით, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 29.1%-ით გამყარდა. ეს ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე უარყოფითად აისახება, თუმცა იმპორტირებულ ინფლაციას ამცირებს.


¹ წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304>

ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსი (იან-2020=100)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსი (იან-2020=100)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ინფლაციები ზრდას განაგრძობს და მაღალია. სავაჭრო პარტნიორთაგან წლიური ინფლაცია თურქეთში, უკრაინაში, რუსეთში, ბელარუსში და აზერბაიჯანში საქართველოზე მაღალი იყო, ხოლო დაბალი - სომხეთში, აშშ-ში და ევროზონაში.

სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ინფლაციები. 2022 წლის მაისი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ბაზრის ტენდენციები


მაისში სავალუტო ბაზრის კონცენტრაცია გაიზარდა. საანგარიშო პერიოდში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე მონაწილეობდა ქვეყანაში მოქმედი 14 ბანკი და 5² არასაბანკო ორგანიზაცია. სავალუტო ბაზრის მაჩვენებლების მიხედვით კონცენტრაცია გაზრდილია. ჰერფინდალ-ჰირშმანის (HH) ინდექსი დაბალ დონეზე ნარჩუნდება, რაც სავალუტო ბაზრის კონკურენტულობაზე მიუთითებს.

ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის მთლიანი სავაჭრო ბრუნვა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებლები 5 ყვალაზე აქტიური ორგანიზაციის წილებით




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2 რომლებიც მონაწილეობენ ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე დადებულ გარიგებებში.

მაისში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე ვაჭრობის მოცულობა როგორც თვითურად, ასევე წლიურად გაზრდილია. აღნიშნულ თვეში აშშ დოლარი/ლარის ვაჭრობის მთლიანმა ბრუნვამ 150.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა თვესთან შედარებით - 37.1 მლნ აშშ დოლარით, ხოლო წინა წლის მაისთან შედარებით 59.2 მლნ აშშ დოლარით მეტია. ამავდროულად, ბაზრის მონაწილეებს შორის დადებული გარიგებების რაოდენობა წინა თვესთან შედარებით 5.3%-ით, ხოლო წლიურად 9.3%-ით გაიზარდა.


სავალუტო ბაზარზე ყიდვა-გაყიდვების აქტივობები თითქმის მთლიანად სპოტ³ გარიგებებით ხდებოდა (99.6%) და 2,222.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წლიურად 750.1 მლნ აშშ დოლარით (თვითურად 222.2 მლნ აშშ დოლარით) გაზრდილია. სპოტ გარიგებების ძირითადი ნაწილი იურიდიულ პირებზე, დანარჩენი კი შინამეურნეოებზე და არარეზიდენტ ბანკებზე მოდიოდა. საქართველოს ეროვნული ბანკის წილი მთლიან ვაჭრობაში 1.4% იყო. ჯამურად წესებზე დაფუძნებული ორმხრივი ინტერვენციების მექანიზმისა და სავალუტო ინტერვენციების გამოყენებით ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვამ თვის განმავლობაში 31.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

სპოტ გარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სეზ-ის მონაწილეობა სავალუტო ბაზარზე




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სპოტ გარიგებებით ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე როგორც მოთხოვნა, ასევე მიწოდება გაზრდილია. საერთო ჯამში, სპოტ გარიგებებით ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა წლიურად 419.8 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვითურად 116.1 მლნ აშშ დოლარით) და 1,166.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ხოლო მიწოდება, წლიურად 330.3 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვითურად 106.1 მლნ აშშ დოლარით) და 1,056.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. სპოტ გარიგებებით როგორც ვალუტის შეძენაში, ასევე ვალუტის გაყიდვაში ყველაზე დიდი წილი იურიდიულ პირებსა და შინამეურნეოებზე მოდიოდა.

მაისში სავალუტო ფორვარდ⁴ გარიგებებით ბანკებსა და სხვა ეკონომიკურ აგენტებს შორის უცხოური ვალუტით ვაჭრობა წლიურად 17.2 მლნ აშშ დოლარით შემცირდა (თვითურად 10.9 მლნ აშშ დოლარით) და 8.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ფორვარდ გარიგებებით ვაჭრობა თითქმის მთლიანად იურიდიულ პირებზე მოდიოდა. ფორვარდ გარიგებებით დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ ბანკებისგან უცხოური ვალუტის წმინდა შესყიდვებმა 0.8

ბანკთაშორის სპოტ გარიგებებით შექმნილი და გაყიდული ფორვარდ გარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

3 სპოტ გარიგება ხდება იმავდროული ვალუტირებით, იმ დროისთვის არსებული კურსით.

4 სავალუტო ფორვარდული კონტრაქტი არის ფართოდ მოხმარებადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სავალუტო რისკების პეჯირებისათვის (დაზღვევისათვის). ფორვარდული იძლევა შესაძლებლობას, წინასწარ განსაზღვრული კურსით, დღეს დაიდოს სავალუტო გარიგება ხოლო შესაბამისი ანგარიშსწორება განხორციელდეს მომავალში.

2022 წლის მაისში ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების მოცულობა 28.7 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. საერთაშორისო რეზერვებზე ზრდის მიმართულებით, ძირითადად, უცხოურ ვალუტით მოზიდულ სახსრებზე დასაცავი სარეზერვო ნორმების მოცულობის ზრდამ, მთავრობისთვის ჩარიცხულმა პროგრამულმა გრანტებმა, საპროცენტო შემოსავლებმა და ეროვნული ბანკის მიერ უცხოური ვალუტის წმინდა შესყიდვებმა, ხოლო კლების მიმართულებით მთავრობის სავალუტო ხარჯებმა, მათ შორის, საგარეო ვალის მომსახურებამ იმოქმედა.

ეროვნული ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები მთლიანი საერთაშორისო რეზერვების თვიური ცვლილება (მიმდინარე კურსით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი ბაზარი

მაისში სადეპოზიტო სერტიფიკატების ერთი აუქციონი ჩატარდა და 20 მლნ ლარის ღირებულის სამთვიანი სადეპოზიტო სერტიფიკატი გაიყიდა. ამავე პერიოდში 20 მლნ ლარის სადეპოზიტო სერტიფიკატები დაიფარა. შესაბამისად წინა თვესთან შედარებით, სადეპოზიტო სერტიფიკატების ნაშთი არ შეცვლილა და მაისის ბოლოს 60 მლნ ლარი შეადგინა.


მაისში სახაზინო ფასიანი ქაღალდების ოთხი აუქციონი ჩატარდა. აღნიშნულ აუქციონებზე ჯამში 190.0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები განთავსდა. მაისში ჩატარებულ აუქციონებზე გაიყიდა 6-თვიანი, ერთწლიანი, ორწლიანი და ხუთწლიანი ვადიანობების სახაზინო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც, შესაბამისად, 20, 20, 70, და 80 მლნ ლარის ოდენობით განთავსდა. დაფარვების გათვალისწინებით, სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთი 170.0 მლნ ლარით გაიზარდა და 5,760.5 მლნ ლარი შეადგინა. მთლიანი პორტფელის 64.7%-ს კომერციული ბანკების, 25.6%-ს ეროვნული ბანკის, ხოლო 6.9%-ს არარეზიდენტების მფლობელობაში არსებული სახაზინო ფასიანი ქაღალდები შეადგენს.

სადეპოზიტო სერტიფიკატების მოცულობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სახაზინო ფასიანი ქაღალდების მოცულობა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ცვლილება ფულადი ბაზრის საპროცენტო განაკვეთებზე აისახება. კერძოდ, სადეპოზიტო სერტიფიკატებისა და სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთების მონეტარული პოლიტიკის განაკვეთთან ახლოს მერყეობს. მაისში, წინა თვესთან შედარებით, სადეპოზიტო სერტიფიკატებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი მცირედით, 0.03 პპ-ით 11.0%-მდე, შემცირდა. რაც შეეხება სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთებს, 6-თვიანი სახაზინო ვალდებულებების განაკვეთი 0.13 პპ-ით შემცირდა და 10.88% შეადგინა. ერთწლიანი სახაზინო ვალდებულებების საშუალო შეწონილი განაკვეთი 10.60% იყო, რაც წინა თვის მაჩვენებელზე 0.17 პპ-ით ნაკლებია. ორწლიანი და ხუთწლიანი სახაზინო ფასიანი ქაღალდების საპროცენტო განაკვეთები წინა თვესთან შედარებით, შესაბამისად, 0.11 პპ და 0.21 პპ-ით შემცირდა და 10.63% და 10.40% შეადგინა. გრძელვადიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთების შემცირების ერთერთ ფაქტორად შესაძლოა ბაზარზე ინფლაციური მოლოდინების შემცირება მოვიხაზოთ.




ფულადი ბაზრის საპროცენტო განაკვეთები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარის შავი სავალუტური პრემია




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მაისში ბანკთაშორის ფულადი ბაზრის მოცულობა, თვითრად 1,207.1 მლნ ლარით, (წლიურად 4,515.8 მლნ ლარით) 7,508.3 მლნ ლარამდე გაიზარდა, რაც როგორც ეროვნული, ასევე უცხოური ვალუტის რესურსის ბრუნვის ზრდამ განაპირობა. ბანკთაშორის ფულადი ბაზრის დიდი წილი უცხოური ვალუტის ბრუნვაზე მოდის (76.3%), რომლის მოცულობაც თვითრად 906.0 მლნ ლარით (18.8%-ით) გაიზარდა. ხოლო ლარის რესურსის ბრუნვის მოცულობამ თვითრად 301.2 მლნ ლარით (20.4%-ით) მოიმატა.

რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, ბანკთაშორის ბაზარზე ლარის რესურსზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით 0.18 პპ-ით გაიზარდა და 10.92% შეადგინა. ხოლო უცხოური ვალუტის საპროცენტო განაკვეთი თვითრად 1.01 პპ-ით 1.98%-მდე გაიზარდა.

აღსანიშნავია, რომ მაისში ფულადი ბაზრის რესურსის 22.5% ერთ თვემდე ვადიანობის დეპოზიტებზე, ხოლო 73.1% კი მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ რესურსზე მოდიოდა.

ბანკთაშორის ფულადი ბაზარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


მონეტარული აგრეგატები

2022 წლის მაისში, წინა თვესთან შედარებით, სარეზერვო ფულის მოცულობა 9.8 მლნ ლარით (0.2%) გაიზარდა და პერიოდის ბოლოსთვის 5.2 მლრდ ლარი შეადგინა. მონეტარული ბაზა წინა თვესთან შედარებით, 8.0 მლნ ლარით (0.2%-ით) გაიზარდა.

მაისში შიდასამთავრობო კონვერტაციებით, ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო გაყიდვებმა 45.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. სავალუტო ინტერვენციებით ეროვნულმა ბანკმა 10.0 მლნ დოლარი შეისყიდა. BMatch პლატფორმის წესებზე დაფუძნებული მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვებმა თვის განმავლობაში 21.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მთლიანობაში შიდა სამთავრობო კონვერტაციებით და სავალუტო ინტერვენციებით, წმინდა უცხოური აქტივები დაახლოებით 13.9 მლნ აშშ დოლარით შემცირდა. მაისში, მთავრობის დეპოზიტებზე არსებული სახსრები 111.6 მლნ ლარით გაიზარდა და მისი მოცულობა პერიოდის ბოლოსთვის 978.7 მლნ ლარს გაუცოლდა.


2022 წლის მაისში ფართო ფულის (M3) მოცულობა თვიურად 55.8 მლნ ლარით გაიზარდა, რაც M2 აგრეგატის (ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფული და სადეპოზიტო ვალდებულებები ეროვნულ ვალუტაში) ზრდამ განაპირობა, ხოლო უცხოური ვალუტის დეპოზიტებმა უარყოფითი კონტრიბუცია შეიტანა, რომელიც თვის განმავლობაში 400.1 მლნ ლარით შემცირდა. თავის მხრივ, M2 აგრეგატის ზრდა ეროვნული ვალუტის დეპოზიტების ზრდამ განაპირობა, ხოლო ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფულის შემცირებამ (ნაღდი ფული მიმოქცევაში სალარო აპარატებში არსებული თანხის გარეშე) უარყოფითი წვლილი შეიტანა.

სარეზერვო ფულის თვიური ცვლილება კომპონენტების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ფულადი აგრეგატები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


2022 წლის მაისში საბანკო სექტორის ლიკვიდობაზე მოთხოვნა წინა თვესთან შედარებით არსებითად არ შეცვლილა. აღნიშნულ თვეში, ნაღდი ფულზე მოთხოვნა 20.1 მლნ ლარით გაიზარდა და ამან საბანკო სისტემის ლიკვიდობაზე მოთხოვნა გაზარდა. თუმცა სამთავრობო და სავალუტო ოპერაციებით საბანკო სისტემას ლიკვიდობა გაეზარდა. საბოლოო ჯამში, მონეტარული ოპერაციებით მაისში ლიკვიდობა 65 მლნ ლარით შემცირდა. აქედან, რეფინანსირების სესხები წინა თვესთან შედარებით 90.0 მლნ ლარით გაიზარდა და 2,690.0 მლნ ლარი შეადგინა. ერთთვიანი სესხის მოცულობა უცვლელად 400 მლნ ლარზე შენარჩუნდა, ხოლო ერთდღიანი სესხი 230.0 მლნ ლარით შემცირდა. ამავე პერიოდში, მცირე და საშუალო ბიზნესის ლიკვიდობის მხარდამჭერი სესხის ნაშთი 15.2 მლნ ლარით შემცირდა და 490.0 მლნ ლარი შეადგინა. ამასთან, 5.0 მლნ ლარის მოცულობის მუდმივმოქმედი სვოპი დაიფარა. მთლიანობაში, მეორად ბაზარზე სახაზინო ფასიანი ქაღალდების წმინდა შესყიდვამ 50.0 მლნ ლარი შეადგინა და პორტფელის მოცულობა 50.0 მლნ ლარით გაიზარდა.

საბანკო სექტორის ლიკვიდობაზე მოქმედი ფაქტორები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული ოპერაციები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკი 0114, სანაპიროს ქ. N2
ტელ: 240 64 88; ფაქსი: 240 65 77; ცხელი ხაზი: 240 64 06
ელ ფოსტა: info@nbg.ge; www.nbg.ge

